პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 149 (9309)

ოთხშაბათი 25 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს გაზეთშია

მშვიდობის დაცვის დღე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მეშახტის დღის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — რა გამოამჟღავნა შემაჯამებელმა მეცადინეობამ (მე-2 გვერდი).
ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის (მე-2 გვერდი).
ვარლამ ჟურული — კოჯედოს კუნძულზე (მე-2 გვერდი).
კომბინატორი და თვალისამხვევი თავს არ ხეინად გრძნობს (მე-3 გვერდი).
ბ. ჩავლეიშვილი — კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა (მე-3 გვერდი).
იბრძოლეთ გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ ვარე დემოკრატიულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობის დაცვის დღე

ერთი თვის წინათ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს მშრომელებს—1952 წლის 25 ივნისი გამოეცხადებინათ გმირი კორეელი ხალხისადმი აქტიური საერთაშორისო სოლიდარობის დღედ, მშვიდობის დაცვის დღედ.

მიმართვაში ნათქვამია:

«ყველა ქვეყნის მშრომელნო, გაერთიანდით საერთაშორისო სოლიდარობის დღეს—1952 წლის 25 ივნისს.

მოითხოვეთ კორეაში ომის შეწყვეტა და ამ ქვეყნიდან უცხოეთის მთელი ჯარების გამოყვანა!

იბრძოლეთ ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის უთუო აკრძალვისათვის და დაგმეთ დამნაშავენი, რომლებმაც კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს.

გაბედულად განავითარეთ სახალხო ინიციატივის ყველა ფორმა, დაუღალავი ბრძოლით განამტკიცეთ მშვიდობის დამცველთა მსოფლიო ფრონტი!»

პროგრესელმა კაცობრიობამ მოიწონა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვა. ამ მიმართვის საფუძველზე დღეს მილიონობით კეთილი ნების ადამიანი ცხადყოფს კორეელ ხალხთან სრულ სოლიდარობას, მტკიცე პროტესტს გამოთქვამს კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, ბარბაროსული მეთოდებით ომის წარმოების წინააღმდეგ, მოითხოვს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტას და კორეიდან უცხოეთის ჯარების გამოყვანას, აშჯიდროუს მშვიდობის მომხრეთა რიგებს და აძლიერებს ბრძოლას ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა ავანტიურისტული გეგმების ჩასაფუშავად.

მსოფლიო რეაქციას არ სურს რამე ისწავლოს ისტორიის გაკვეთილებზე, არ სურს თვალი გაუსწოროს მოვლენებს. უკვე ორი წელია ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები დაპყრობითს ომს ეწევიან მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამ ომში მათ ჩაბეს მსოფლიო რეაქციის ძალები, გამოიყენეს ომის წარმოების არაადამიანური მეთოდები—ნაპალმის ბომბები, მომწამლავი ნივთიერებანი, ბაქტერიოლოგიური იარაღი, მიმართავენ უდანაშაულო ადამიანთა სადისტური წამებით დახოცვას... ამ მხრივ ამერიკელმა განგსტერებმა უკვე გადაჭარბეს მათს წინამორბედ ჰიტლერელ კაცთმოძულეებს. მაგრამ მათი ყველა ღონისძიება ჩაიფუშა. ამერიკული სიკვდილის მანქანა უძლური აღმოჩნდა კორეის ფრონტზე. იგი დაამარცხა გმირი ხალხის ურღვევმა ნებამ, სამართლიანმა საქმემ, სიცოცხლემ.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ძლევს სიცოცხლე სიკვდილს, საკმარისია მოვიგონოთ პოლონელი მწერლის ვანდა ვასილევსკაიას შეხვედრა კორეელ ტანჯულ ლედასთან. ქალაქ სინჩხონში, სადაც ამერიკელმა დამნაშავეებმა 35 ათასი კაცი დახოცეს, ერთ-ერთმა ქალმა, რომელსაც ინტერვენტებმა თვალწინ მოუკლეს ქმარი და შვილები, მწერალს ასე მიმართა:

— მთელ ოჯახში მარტო მე დავრჩი ცოცხალი. მე განვაგრძობ ბრძოლას და დარწმუნებული ვარ გავიმარჯვებთ!

უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული სამართლიანი ომი კორეელი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება. ამის საწინდარია კორეელი ხალხის მტკიცე ნებისყოფა. შეუძლებელია სულით მაღალი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის დამონება. კორეელ ხალხს საბრძოლო დახმარებას უწევენ ჩინელი მოხალისეები, მას თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ დიდი საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელები.

ორი წლის განმავლობაში ამერიკელ კაცთმოძულეებს კორეაში შეესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, თუ რამდენად უპერსპექტივოა ეს ომი, მაგრამ მათ არ სურთ შეურიგდნენ აგრესიული გეგმების ჩაფუშვას. ამით აიხსნება, რომ მეთორმეტე თვეა გრძელდება მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ და საბოლოო შეთანხმება მიღწეული მაინც არ არის.

შავი ჭირის გენერალი, აზიის ხალხთა ჯალათი რიჯუეი, რომელმაც თავისი ბაქტერიოლოგიური «ჯარისკაცები»—დასენიანებული ბუზები, მწერები, ბალღინჯოები, მოსიკტები და თაგვები მიუსია მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხს, ომის გამჩაღებლებმა დიდი ზეიმით გადაიყვანეს ევროპაში და აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ჯარების მთავარსარდლად დანიშნეს.

რიჯუეი გენერალ ეიზენჰაუერის უბრალო შემცვლელი როდია ევროპაში, იგი სიკვდილის ემბლემაა, რომელსაც ეკისრება შეასრულოს მაფრთხობელას როლი, დააშინოს ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები და მსოფლიო ბატონობის გზა გაუკაფოს უოლსტრიტელ მილიარდერებს.

ევროპაში რიჯუეის ჩასვლამ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალთა სასტიკი პროტესტი გამოიწვია.

— რიჯუეი, შინ წაეთრიე, ჩვენ მშვიდობა გვსურს!—ასეთია ევროპის ხალხთა მოთხოვნა.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლას აძლიერებს გერმანელი ხალხი, რომელსაც ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ხელოვნურად სთიშავენ და ძმათამკვლელ ომს უმზადებენ. გერმანელი ხალხი ენერგიულად იბრძვის დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის. მან კორეის მაგალითზე იცის, თუ რამდენად ცბიერი და თავხედია მსოფლიო რეაქცია. ამიტომ მტკიცედ ირაზმება და ამშიდრობს საბრძოლო რიგებს, ძალებს იკრებს, რომ დაზღვეული იყოს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში სულ უფრო იზრდება იაპონელი ხალხის როლი და დანიშნულება. იაპონელ ხალხს დიდხანს არ შეუძლია მოითმინოს ამერიკული ოკუპაცია, დამოუკიდებლობის დაკარგვა, უუფლებო ცხოვრება, გამალებული საომარი მზადება და საარსებო პირობების უკიდურესი გაუარესება.

მნიშვნელოვნად შეირყა ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა პოზიციები აზიისა და აფრიკის კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას აძლიერებენ ვიეტნამის, მალაიის, ბირმის, ინდონეზიის, ფილიპინების, ინდოეთის, ირანის, ეგვიპტის, ტუნისის მშრომელები.

სულ უფრო ფართოვდება და ძლიერდება მშვიდობის მომხრეთა ფრონტი. მსოფლიოს ყველა კუთხეში შექმნილია მშვიდობის დაცვის კომიტეტები. ისინი ენერგიულ მუშაობას ეწევიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის მშრომელი მასების დასარაზმავად, ახალი ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ხრიკების გამოსააშკარავებლად.

მშვიდობისა და დემოკრატიის უძლეველი ბანაკის ბურჯია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა—დიდი საბჭოთა კავშირი. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლას წარმართავს დიდი სტალინის გენია.

მუდამ ახალი ძალით გაისმის და პროგრესულ კაცობრიობას მშვიდობისათვის ბრძოლაში აღაფრთოვანებს ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები: «მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას».

დაღისტნის კოლმეურნეობები შეუდგნენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას

მახაჩკალა, 23 ივნისი. (საკდესი). დაღისტნის შვიდი დაბლობი რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს საშემოდგომო ქერის აღება. საკოლმეურნეო ყანებში გავიდა 100 კომბაინი. ლენინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში მახაჩკალის მტს-ის კომბაინებით აღებულ პირველ ჰექტარებზე კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე 15-16 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. ამ კოლმეურნეობამ გუშინ რესპუბლიკაში პირველმა დაიწყო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

დღეს ყზილ-იურტის რაიონის კოლმეურნეობებმაც დაიწყეს საშემოდგომო ხორბლის შერჩევითი აღება.

მეშახტის დღის შესახვედრად

მეორე შახტი დაწინაურდა

მეშახტის დღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ახალციხის შახტსამმართველოს მეორე შახტი, რომელიც წინათვეებში ჩამორჩენილი იყო. შახტმა ივნისის ორი დეკადის საწარმოო დავალება 119 პროცენტით გაანაღდა.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებაში წინ მიდიან უბნები, რომლებსაც ი. საკანდელიძე და გ. ჯიშკარიანი ხელმძღვანელობენ. ამ დღეებში სასახელოდ მუშაობს ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლა ი. გვარამაძის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ცვლა ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 130-150 პროცენტით ანაღდებს.

მაღალნაყოფიერი შრომით შახტში სახელი გაითქვეს მნგრეველებმა გრიგოლ გორგაძემ და ივანე ნოვიკოვმა, გამყვანებმა—ძმა-შვილმა ივანე და პეტრე კოროჩენკოებმა, ძმებმა გიორგი და გრიგოლ ბერიძეებმა, მებიგვეებმა ზ. ჩხიტუნიძემ, ი. პროკოპენკომ და საპატიო მეშახტემ თედორე ფშენჩუკმა. სტახანოვურად მუშაობს ელმავლის მემანქანე ტატიანა ლომიძე.

შახტში ფართოდ ინერგება მოწინავე სამთო ტექნიკა. პირველი ივნისიდან დაიდგა და უკვე მუშაობს მომხვეტი კონვეიერი.

დაწინაურებული შახტის კოლექტივი ახლა ენერგიულად იბრძვის, რათა მეშახტის დღისათვის დაფაროს წინა თვეების დანაკლისი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ქვანახშირი.

ნ. ფარჯანაძე,

ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორი.

იზრდება ქვანახშირის ამოღება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის შახტებში და სამშენებლო ობიექტებზე ფართოდ გაჩაღდა მზადება მეშახტის დღის შესახვედრად. მოწინავე უბნები, ბრიგადები, მნგრეველები, გამყვანები და მებიგვეები სტახანოვურ ვახტზე დგანან და ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს.

მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა 19 ივნისს შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა და იკისრა მეშახტის დღისათვის 10 თვის დავალება გაანაღდოს.

ლენინის სახელობის შახტში მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა პირველი უბნის კოლექტივი (უფროსი შ. შოთაძე), რომელსაც ჯერჯერობით გეგმის გადამეტებით ამოღებული აქვს რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

კვლავ წარმატებით მუშაობს და ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის დავალების შესრულებას უახლოვდება გელათის შახტი. აქ მეშახტის დღისათვის მზადებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე საექსპლოატაციო უბნის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მნგრეველი გიორგი შანიძე ხელმძღვანელობს. შრომის სწორი ორგანიზაციის, სამთო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებისა და მოწინავე გამოცდილების ათვისების შედეგად ბრიგადის ყველა წევრი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობენ მეშახტეები — კომკავშირელი ოთარ ჩუბინიძე, გიორგი სუხიაშვილი, მიხეილ გაბადაძე, ი. გოლოძე.

ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის თავდადებით შრომობენ სტალინის სახელობის შახტის მნგრეველები რ. კუბლაშვილი, გ. ბოჭორიშვილი, მტვირთავები ვ. სამანიშვილი, პ. კუზიევი. თვითეული მათგანი ყოველდღიურ ნორმას 150-180 პროცენტით ასრულებს.

ᲬᲧᲣᲐᲠᲩᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელელი მეშახტეები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მეშახტის დღის ღირსეულად შეხვედრისათვის, შესანიშნავ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა სათბობის ამოღების ნახევარი წლის გეგმა 19 ივნისისათვის შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს ქვანახშირის ამოღება 16,5 პროცენტით გაიზარდა. ნახევარი წლის დავალება ყველაზე ადრე შეასრულეს ახიბლარელმა მეშახტეებმა, რომლებსაც 20 ივნისისათვის გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებული ჰქონდათ ათასობით ტონა სათბობი.

მეტი ქვანახშირისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელმაც 6 თვის გეგმა ჯერ კიდევ 15 ივნისისათვის შეასრულა. შახტის მოწინავე საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც სამთო ინჟინერი ი. გავრილიუკი, კ. ქობალია, ნ. გუგუშვილი, ლ. წულეისკირი და გ. სვანიძე ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებულზე მეტ ქვანახშირს აძლევენ ქვეყანას.

გ. ჩაჩიბაია.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

კუიბიშევი, 23 ივნისი. (საკდესი). კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა ვადამდე დაამთავრეს წლის პირველი ნახევრის გეგმა და გააჩაღეს შეჯიბრება 15 აგვისტოსათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 8 თვის პროგრამის შესასრულებლად.

ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, ჰიდროელექტროსადგურის შენობის ქვაბულში, მექანიზატორებმა ბევრად გაადიდეს ექსკავატორების წარმადობა მაისთან შედარებით. ქვაბულიდან გრუნტის სადღეღამისო ამოღებამ და გატანამ 10 ათას კუბურ მეტრს გადააჭარბა. მარცხენა ნაპირზე ძლიერდება ქვაბულში და წყალსაშვები კაშხალის ზღუდარზე მიწის სამუშაოთა ტემპი. № 309 მიწისმთხრელი მანქანის კოლექტივი ერთიორად გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს და ივნისის გეგმის გადამეტებით უკვე გადაამუშავა 20 ათასი კუბური მეტრი გრუნტი.

დიადი მშენებლობის ყველა უბანზე გამოცხადებულია სტახანოვური ვახტი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილების მეორე წლისთავის აღსანიშნავად. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის საექსპლოატაციოდ გადასაცემად მზადდება ბევრი საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება ჰიდრომშენებელთა დაბებში.

ᲞᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ

დონის-კალაჩი (სტალინგრადის ოლქი), 23 ივნისი. (საკდესი). დღითიდღე სულ უფრო მეტი გამოცოცხლებაა ვოლგა-დონის არხის ტრასზე. განუწყვეტლივ მოდის გემების ქარავნები, რომლებსაც სხვადასხვა ტვირთი მოაქვთ.

დღეს დონიდან მე-13 რაბით არხში შევიდა მიწისმწოვი მანქანა № 310. მან დაამთავრა მუშაობა ვოლგა-დონის მშენებლობაზე და ახლა მიდის ვოლგის ერთ-ერთ მშენებლობაზე. არხი უკვე გაიარეს კარჭაპებმა, რომლებიც დატვირთულია დახერხილი ხე-ტყის მასალით დონის როსტოვისათვის, აზოვისა და დონბასის შახტებისათვის. ქვემო დონიდან ვოლგაში გავიდა კარჭაპი „მაგნიტოგორსკი“, რომელიც დატვირთული იყო დონეცის ქვანახშირით. კარჭაპ „ნალჩიკით“ გაიგზავნა ქვანახშირი ასტრახანისათვის.

ახლა ექსპლოატაციის მუშაკები ეუფლებიან ავტომატური მართვის ტექნიკას.

გემები მიდიან ახალი გზით. არხის ორივე მხარეზე კი მშენებლები ამთავრებენ ხეების დარგვას, არქიტექტორები და მოქანდაკეები — რაბების შენობების მოპირკეთებას.

დღითიდღე არხს სულ უფრო ლამაზი სახე ეძლევა.

ᲓᲐᲯᲕᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔᲔᲑᲛᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

რიგა, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ ლატვიის მეთევზეთა კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს თევზჭერის ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 250 ათასი ფუთით მეტი თევზი, ვიდრე შარშან ნახევარ წელიწადში. საზაფხულო თევზჭერას წარმატებით ეწევა კოლკის კონცხზე მდებარე კოლმეურნეობა „ბრივაის ვილნისი“. კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა თევზჭერის წლიური დავალება.

რესპუბლიკის ცხრა თევზსაჭერ კოლმეურნეობაში არასრული ნახევარი წლის შემოსავალმა უკვე გადააჭარბა მილიონ მანეთს თვითეულში.



ᲕᲝᲚᲒᲐ-ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝ ᲐᲠᲮᲘ. თბომავალ „ხლავნის“, რომელმაც შეასრულა პირველი რეისი როსტოვიდან ციმლიანსკის ნავსადგურამდე, ბუქსირით მიპყავს დებარკადერი ციმლიანსკის ზღვის ნავმისადგომ „კრივსკაიასათვის“.

ფოტო ლ. პორტერისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

სამომხმარებლო კოოპერატივების მუშაობა ჩინეთში

შანხაი, 23 ივნისი. (საკდესი). ცენტრალურ-სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სამომხმარებლო და მომმარაგებელ-გამაღებელი კოოპერატივები.

როგორც გაზეთი „ჩანძიანქიბაო“ იუწყება, ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთის კოოპერატივები წელს გლეხებს მიაწვდიან 1 მილიარდზე მეტ ძინ (1 ძინი უდრის 0,6 კილოგრამს) სასუქებს. სხვადასხვა რაიონში კოოპერატივებმა გახსნეს სამკედლოები და სახელოსნოები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებასა და შეკეთებას ეწევიან. ხენანის პროვინციის კოოპერატივმა წელს გლეხებისათვის 2 მილიონზე მეტი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი დაამზადა.

გუიჯოუს პროვინციაში მაისში 84 სამომხმარებლო და გამსაღებელი კოოპერაციული საზოგადოება იყო. მიმდინარე წლის გაზაფხულზე კოოპერატივებმა გლეხებს მიაწოდეს 8.700 ათასი ძინი სასუქები, 100 ათასზე მეტი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი და 220 ათასამდე ძინი ბოსტნეულის ჯიშიანი თესლი.

კოოპერაციულ საზოგადოებათა წევრების რიცხვი სწრაფად იზრდება. გუიჯოუს პროვინციის გუიდინის მაზრაში მარტო 1 თვეში კოოპერატივებში 1.600 კაცი შევიდა.

სლოვაკიის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების ხუთი თვის შედეგი

პრაღა, 21 ივნისი. (საკდესი). ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარის ი. დიურიშის მოხსენება სლოვაკიის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების 1952 წლის ხუთი თვის შედეგის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა სლოვაკიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მიღწეული შესანიშნავი წარმატებანი. იანვრიდან მაისამდე ჩათვლით სლოვაკიის სამრეწველო წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21,5 პროცენტით გაიზარდა. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა მრეწველობაში გაიზარდა 5 პროცენტით, ხელფასი გადიდდა 10,9 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 16,1 პროცენტით.

შემდეგ დიურიშმა აღნიშნა, რომ წელს სლოვაკიის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებანი 1947 წელთან შედარებით 3,5-ჯერ გაიზარდა. წელს მწყობრში ჩადგება 39 ახალი ქარხანა და მნიშვნელოვნად გაფართოვდება სხვა საწარმოების, ჰიდროელექტროსადგურების, შახტების, ავტომობილების ხაზების მშენებლობა. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში აშენდა 2.283 ახალი ბინა.

აღნიშნა რა არსებული ნაკლოვანებანი, დიურიშმა ჩამოაყალიბა ამოცანები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

დიურიშის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს სლოვაკიის ეროვნული საბჭოს მთელმა რიგმა დეპუტატებმა.

საარწყავი არხების მშენებლობა ბულგარეთში

სოფია, 20 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთში სახალხო მშენებლობათა მეთოდით ფართოდ გაჩაღდა საარწყავი არხების აგება. ეს ახალი საარწყავი სისტემები წყალს მიაწვდიან სანდანის, გოცედელჩის, რაზლოგისა და სხვა ოკოლიების ათასობით ჰექტარ ნაყოფიერ მიწებს.

ყველაზე დიდი საარწყავი სისტემა შენდება სანდანის ოკოლიაში. ამ სისტემის 7 კილომეტრი სიგრძის ასენიტის მთავარი საარწყავი არხი შენდება ზღვის დონიდან 1.200 მეტრ სიმაღლეზე პირინის მთების დასავლეთ ნაწილში. ამ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობის პირველი რიგი დამთავრდა, და წყალი უკვე გაუშვეს ბელიცის, პლოსკისა და სხვა სოფლების მინდვრებში.

გოცედელჩის ოკოლიაში ბანიჩანის საარწყავი არხი უახლოეს დღეებში წყალს მისცემს ამ რაიონის გვალვიან მიწებს. წელს არხს სამი კილომეტრი სიგრძე მოემატება. მისი ტრასის გაყოლებით შენდება მთელი რიგი სატუმბავი სადგურები, რომელთა დახმარებით წყალი მიეცემა მაღალი მთის მინდვრებს.

წარმატებით შენდება ხუთი კილომეტრი სიგრძის საარწყავი არხი რაზლოგის ოკოლიის სოფელ დობრინიშჩეში. საარწყავი არხების ტექნიკური აღჭურვისათვის მარტო პეტრიჩის ოკოლიაში წელს გაღებულია 40 მილიონი ლევი.

აღბანეთი მუშების მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში

ტირანა, 20 ივნისი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 18 ივნისს ტირანაში გაიხსნა მრეწველობის მუშაკთა და მაღაროელთა პროფკავშირის მეორე ყრილობა.

მრეწველობის მუშაკთა და მაღაროელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იორდი შულიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამჟამად მრეწველობის მუშათა 80 პროცენტი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოო წარმატებათა მიღწევაში დიდ როლს ასრულებს შრომის საბჭოთა მეთოდების გამოყენება.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია უსაშიშრობის ტექნიკის, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ამჟამად მრეწველობის მუშათა განკარგულებაშია 140-მდე კლუბი, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა და სხვ.

პარტიული ცხოვრება

რა გამოამჟღავნა შემაჯამებელმა მეცადინეობამ

ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანაში დანიშნული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის შემაჯამებელი მეცადინეობა. წრის მსმენელები ძალიან ნელა იკრიბებოდნენ. დანიშნული დროისათვის 17 კაციდან მხოლოდ 7 გამოცხადდა, ხოლო მეცადინეობის დამთავრებამდე ათამდე მსმენელმა მოიყარა თავი.

— დანარჩენი მსმენელები, — განაცხადეს პროპაგანდისტმა ამხ. მ. პუგუნეცმა და ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ზარიძემ, — გუშინ პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრის მსმენელებთან „გამოვცადეთო“.

საუბარმა ორი რამ გამოამჟღავნა: ჯერ-ერთი, პარტბიუროს მდივანსა და პროპაგანდისტს ცუდად ესმით შემაჯამებელი მეცადინეობის შინაარსი, მათი აზრით ეს გამოცდაა, და მეორეც, პროპაგანდისტი პუგუნეცი ორ წრეს — საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მაღალი და ძირითადი ტიპის წრეებს ხელმძღვანელობდა და ორივე წრეს ერთად, ერთსა და იმავე საათებში ამეცადინებდა.

— მართალია ორივე წრეს ერთად ვამეცადინებდი, მაგრამ საკითხების დაყენების დროს ვითვალისწინებდი, რომელი წრის მსმენელებთან მქონდა საქმე და ისე ვახდენდი მათ გამოკითხვასო, — განმარტა პროპაგანდისტმა.

ეს აშკარა დამახინჯება ბოლომდე შეუმჩნეველი დარჩა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს, ხოლო ქარხნის პარტბიურომ იგი ნორმალურად მიიჩნია.

პარტიული განათლების საქმისადმი ასეთმა მცდარმა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ფაქტიურად ჩაშალა სწავლება, წრის მსმენელები, რომლებიც ამ დღეს შემაჯამებელ მეცადინეობაზე მოვიდნენ, ვერ ერკვეოდნენ ელემენტარულ საკითხებში, იჩენდნენ პასიურობას, ვერ ამჩნევდნენ საკითხების განმარტების დროს დაშვებულ აშკარა შეცდომებს.

პროპაგანდისტიც უსისტემოდ, არათანმიმდევრულად და ზოგადად აყენებდა კითხვებს. მაგალითად:

პროპაგანდისტმა ასეთი შინაარსის კითხვა დააყენა:

— ვინ ილაპარაკებს ანტანტის მეორე ლაშქრობის განადგურებაზე?

ოთახში, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა, დიდხანს სიწყნარე იყო. ბოლოს ერთ-ერთმა მსმენელმა „გაბედა“ პასუხის გაცემა:

—დროებითი მთავრობის დავალებით ფრონტზე გაიგზავნა ვოროშილოვი და სხვები, რათა გაენადგურებინათ იუდენიჩის არმია.

ამ აშკარა უვიცობას არც ერთი მსმენელის გაკვირვება არ გამოუწვევია. მართალია, პროპაგანდისტმა გაასწორა მსმენელის ეს შეცდომა, მაგრამ მისი განმარტება არ იყო ამომწურავი.

საერთოდ შემაჯამებელი მეცადინეობა პროპაგანდისტის „აქტივობით“ აღინიშნა. რაკი მსმენელები დუმდნენ, თითქმის ყველა საკითხს პროპაგანდისტი განმარტავდა.

ასე ჩაიარა ამ შემაჯამებელმა მეცადინეობამ, რომელმაც ცხადყო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის უპასუხისმგებელი დამოკიდებულება კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი. პარტიული ორგანიზაცია თავიდანვე დაუდევრად მოეკიდა თავისი მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს. ცუდად დააკომპლექტა პარტიული განათლების ქსელი, არ გაითვალისწინა მსმენელთა მომზადების დონე და სურვილი, დაუშვა აშკარა დამახინჯება. ყოველივე ამან გამოიწვია დროს უქმად გაფლანგვა.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ და პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ კარგად უნდა გაითვალისწინონ ეს სერიოზული შეცდომები. პარტიული სწავლებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

მ. ვარდოსანიძე.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე

ფოთი. (საკ. კორ). შედგა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სამუშაოდან მოხსნა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ჩოჩია, თანამდებობიდან გაათავისუფლა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. გაგუა.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ქანდარია, მეორე მდივნად — ამხ. დ. გუჯაბიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

ლენინგორი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სამუშაოდან მოხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. გალდავა და გამოიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ბერუაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ.

თათბირი მეცნიერ-მუშაკთა და მეშახტეთა თანამეგობრობის საკითხზე

ტყიბული. (საკ. კორ.) მეცნიერი მუშაკებისა და მეშახტეთა შემოქმედებითი თანამეგობრობის საკითხებს მიეძღვნა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტში ამას წინათ მოწვეული თათბირი.

თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა დოცენტმა ა. ძიძიგურამ თათბირის მონაწილეების ყურადღება გამახვილა ტყიბულის შახტებში ქვანახშირის ამოღების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და ახალი სამთო მექანიზმების დანერგვის საკითხებზე. იგი განსაკუთრებით შეჩერდა ჰიდრავლიკური ვსებით მუშაობის სრულყოფილად დანერგვასა და ათვისებაზე.

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ვ. გოცირიძემ წამოაყენა გამონამუშევარი წყლის ხელმეორედ გამოყენების საკითხი, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტყიბულის სინამდვილეში.

ტყიბულელმა მეშახტე რაციონალიზატორებმა წარმატებით გადაჭრეს გამონამუშევარი წყლის დიდი სიღრმიდან ამოტუმბვის მეტად რთული პრობლემა, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის დარჩენილი „ვიწრო“ ადგილები, სახელდობრ: ძალიან სწრაფად ცვდება და მწყობრიდან გამოდის ტუმბოების მუშა ნაწილები. უვარგისია სავსები მასალის გამტარი მილგაყვანილობის კონსტრუქცია, რის გამო მილგაყვანილობის გახეთქის ან მთელ სიგრძეზე ამოსილვის შემთხვევაში ხდება ავარიები. ამ ხელისშემშლელი მიზეზების სალიკვიდაციოდ თათბირზე მიღებულ იქნა ღონისძიებანი მეცნიერი მუშაკებისა და მეშახტე ნოვატორების წინადადებათა გათვალისწინებით.

მეშახტეთა თხოვნით კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი შეისწავლის სამთო გამონამუშევრების ვენტილაციის გაუმჯობესების, ქვანახშირის ცალკეული ფენების რენტაბელური წესით გამომუშავებისა და როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა სამთო დანადგარების ავტომატიზაციის საკითხებს, მეშახტეთა შორის სისტემატურად მოაწყობს პოპულარულ ლექციებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე.

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

20 ივნისისათვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 32,3 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ივნისის დავალება მაისის დანაკლისის ჩათვლით — 67,3 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა მაისის დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 75 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში — 59,6 პროცენტით, ქუთაისის ოლქში—65,3 პროცენტით.

გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ივნისის გეგმა მაისის დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 29,8 პროცენტით, სალიბაურის — 71,7, ჩაქვის — 82,6, ოჩხამურის — 71,0, ცეცლაურის—63,6, აჩიგვარის — 58,5, სიდის —111,7, მოქვის — 49, ნატანების — 34,5, ლაითურის — 76,4, ნარუჯის — 101,2, ნასაკირალის — 84,1, წულუკიძის — 50,5, დიდი ჰყონის — 52,4, ლესიჭინის — 40,3, ინგირის — 54, ონარიის — 21,8, ნარაზენის — 49,7, ხეცერის — 65,8, წალენჯიხის—70,8, ხიბულის — 40, ხოლო გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 7 პროცენტით.

ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის

18-21 ივნისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში გაიმართა ახალგაზრდა მწერლების მესამე რესპუბლიკური თათბირი. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა.

თათბირმა მოისმინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებლის ამხ. ს. ჭილაიას მოხსენება ქართული საბჭოთა მწერლობის ამოცანებისა და მწერალთა ახალგაზრდა კადრების შესახებ.

ახალგაზრდა პოეტების, პროზაიკოსებისა და დრამატურგების შემოქმედების შესახებ თათბირმა მოისმინა გ. აბაშიძის, გ. შატბერაშვილის და მ. მრევლიშვილის მოხსენებები. ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ბანძელაძე.

ამხ. ს. ჭილაიამ თავის მოხსენებაში გააშუქა თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის მტკივნეული საკითხები, ილაპარაკა ქართველი ახალგაზრდა მწერლების ზრდისა და განვითარების ამოცანებზე. იგი შეეხო უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ მოპოვებულ ზოგიერთ მიღწევას და განაცხადა: ეს მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერ სტილს უარყოფითი გავლენა რომ არ მოეხდინა ლიტერატურის განვითარებაზე. ქართული მწერლობა ჩამორჩა არა მარტო ჩვენს დიდ ეპოქას, ჩვენს ცხოვრებას, არამედ ზოგიერთი ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებასაც.

ჩვენი უახლესი და გადაუდებელი ამოცანაა მთელი ჩვენი სამწერლო კადრები ჩვენი რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობის დახმარებით მოვაბრუნოთ თანამედროვეობისაკენ და დავიკავოთ ის მოწინავე ადგილი, რომელიც შეჰფერის ქართულ მწერლობას, აღვადგინოთ ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ დამკვიდრებული ტრადიციები ლიტერატურაში.

ჩვენი ახალგაზრდა სამწერლო კადრები ვალდებული არიან დაუღალავად სწავლობდნენ დიდი კლასიკოსებისაგან ოსტატობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა უკანასკნელად ერთგვარად გააუმჯობესა ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა, ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე არ არის. მომხსენებელი ვრცლად განიხილავს ახალგაზრდა მწერლების, მათ შორის რ. ჯაფარიძის, თ. გოგოლაძის, ი. ურჯუმელაშვილის, ა. გეწაძის, მ. მაჭავარიანის და სხვათა შემოქმედებას. შემდეგ იგი გადადის საბავშვო ლიტერატურაში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე.

ხშირად ახალგაზრდა მწერლების თემატიკა ძლიერ შეზღუდულია, მასში გამოხატულებას ვერ პოულობს კომკავშირის თემა, სტუდენტობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება. ახალგაზრდა მწერლების ამოცანაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თემატიკურ მრავალფეროვნებას, ქართული ენის სიწმინდეს და წერის ოსტატობის დაუფლებას. მწერალთა კავშირის სექციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა.

ამხ. ჭილაიამ თავის მოხსენებაში უმნიშვნელო ადგილი დაუთმო პერიფერიებში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას. მას მკაცრად არ გაუკრიტიკებია ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია, რომელიც თავს ვერ ართმევს საქმეს. მომხსენებელს რატომღაც არაფერი უთქვამს იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომ ორი წლის მანძილზე ახალგაზრდა მწერლების ერთი ალმანახის გამოცემაც ვერ მოხერხდა. მოხსენებაში მკაფიოდ არ იყო მოხაზული ქართულ საბჭოთა მწერლობაში არსებული სერიოზული ხარვეზების უახლოეს ხანებში გამოსწორების გზები.

ამხ. გ. აბაშიძე თავისი მოხსენების ვრცელი და ზოგადი შესავლის შემდეგ გაკვრით შეეხო ცალკეული ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას. ძირითადად იგი შეჩერდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, რომელიც შემოკრებილია უნივერსიტეტის ალმანახის „პირველი სხივის“ გარშემო. ამ ახალგაზრდებიდან მომხსენებელი პირველად ეხება მ. მაჭავარიანის შემოქმედებას, რომელიც, მომხსენებლის თქმით, ცდილობს პოეზიაში საკუთარი ხმით შემოვიდეს. შემდეგ მომხსენებელი მიმოიხილავს ა. გეწაძის ლექსებს და აღნიშნავს, რომ გეწაძე თავისებური და საინტერესო პოეტია, მის ლექსებს ახასიათებს უშუალობა და უბრალოება. მომხსენებელი ასევე კარგ შეფასებას აძლევს ნ. კილასონიას, ე. ბასილაშვილის, მ. კახიძის, თ. ჭილაძის და სხვათა შემოქმედებას.

მომხსენებელი ეხება რესპუბლიკის სხვა ცენტრების ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებას, განსაკუთრებით ჩერდება აფხაზეთის მწერლობაზე და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ წლებში სუხუმში გამოჩნდა და იზრდება რამდენიმე ნიჭიერი პოეტი. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია შ. აკობია და მ. ქოიავა, რომელთა პირველი წიგნები კარგ მთაბეჭდილებას ახდენენ.

ამხ. გ. შატბერაშვილმა თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში გამოსული ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებიდან უპირველესად ყოველისა აღსანიშნავია კ. მუმლაძის „ყირიმის მიწაზე“, თ. გოგოლაძის „გარიყულას განთიადი“, ე. მაისურაძის „ორი მეგობარი“. გამოიცა ახალგაზრდა მწერლების პროზაულ ნაწარმოებთა კრებული, რომელიც მკითხველმა გულთბილად მიიღო. ამ კრებულმა ქართულ ლიტერატურას შესძინა ისეთი კარგი პროზაული ნაწარმოებები, როგორიც არის რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“, ი. ურჯუმელაშვილის „დღეები კორეაში“ და სხვ.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ი. ურჯუმელაშვილის გამოუქვეყნებელ რომანზე „ახალი გზა“, რომელიც საყურადღებო ნაწარმოებია, მაგრამ ერთგვარ გადამუშავებას მოითხოვს. მომხსენებელი ახალგაზრდა მწერლებს უსაყვედურებს, რომ ისინი გატაცებული არიან დიდი ფორმის ნაწარმოებებით და ხშირად უგულებელყოფენ პატარა მოთხრობას.

ჩვენს ახალგაზრდა პროზაიკოსებს არა აქვთ თუნდაც ერთი წუთით დამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლება. მათ წინ იდეური და მხატვრული დაოსტატების დიდი გზაა გაშლილი. ახალგაზრდა ბელეტრისტების წინაშე საპატიო, მაგრამ რთული ამოცანა დგას —შექმნან სტალინური ეპოქის შესაფერი მხატვრული ნაწარმოებნი.

ამხ. შატბერაშვილს რატომღაც არაფერი უთქვამს ახალგაზრდა მწერლების მუშაობაზე მხატვრული ნარკვევის შექმნის საქმეში.

ამხ. მ. მრევლიშვილმა თავისი მოხსენების პირველ ნაწილში აღნიშნა საბჭოთა დრამატურგიის მიღწევები და მის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები. მომხსენებელი შეეხო დრამის ეგრეთწოდებული უკონფლიქტობის „თეორიის“ სიყალბეს, რომელიც ხელს უშლიდა საბჭოთა დრამატურგიის წინსვლას.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდა დრამატურგების დოსტატების საქმე ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული. უკეთეს მთაბეჭდილებას ტოვებს გ. გოგიჩაიშვილის პიესა „მეშვიდეკლასელები“, ნ. არეშიძის „მე შენ მოგნახავ“, ნ. კანდელაკის „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“. ასევე საინტერესოა ნ. ოქროპირიძის, ს. ლორთქიფანიძის, დ. კვიცარიძის, ა. ხუციშვილის და ოსი დრამატურგის ვ. გაგლოევის პიესები.

მომხსენებელი ბოლოს ლაპარაკობს, რომ ქართულმა მწერლობამ უახლოეს ხანში უნდა გამოასწოროს ჩამორჩენა დრამატურგიაში, საჭიროა გამოვავლინოთ ახალგაზრდა მწერლები და დავეხმაროთ მათ ახალი პიესების შექმნაში.

ამხ. გ. ბანძელაძემ მიუთითა იმაზე, რომ სუსტად არის დაყენებული ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა. მწერალთა კავშირმა ვერ შეძლო ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის საქმიანობის გარდაქმნა. ახალგაზრდა მწერლების საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ზერელედ მუშაობს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგიერთი მათგანის ნაწარმოები ფაქტების უბრალო აღწერას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილ მხატვრულ ქმნილებას.

ახალგაზრდა მწერლები ღრმად უნდა დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ახალგაზრდა მწერლებს სწორი მეცნიერული შეხედულება უნდა ჰქონდეთ ცხოვრებაზე, ზედმიწევნით უნდა იცნობდნენ ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ხალხის მოთხოვნილებებს და სულიერ მისწრაფებებს.

ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი მწერლების გატაცება ისტორიზმით. წარსულის იდეალიზაცია, ვიწრო კუთხური და ნაციონალური ინტერესებით შეზღუდვა უმთავრესად დაბალი იდეურ-პოლიტიკური დონის შედეგია. მომხსენებელი აკრიტიკებს ოთარ ჭელიძის ლექსს „არაგვთან ორგულს რა უნდა“, რომელშიც არის წარსულის იდეალიზაციის ელემენტები.

მომხსენებელი ლაპარაკობს ახალგაზრდა მწერლების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე კინოსცენარების შექმნის საქმეში. სცენარების უქონლობა დიდი ხანია აფერხებს ქართული კინემატოგრაფიის წინსვლას. დასასრულ მომხსენებელი ჩერდება იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დგას ამჟამად ქართული მწერლობის წინაშე.

მოხსენებათა გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. პირველი გამოვიდა ახალგაზრდა პოეტი ა. გეწაძე. მან უსაყვედურა ამხ. გ. აბაშიძეს, რომ მის მოხსენებაში ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედების კრიტიკას. გეწაძემ გააკრიტიკა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუშაობა, რომელიც, მისი თქმით, ზოგჯერ ბეჭდავს ახალგაზრდა მწერალთა მდარე ხარისხის ნაწარმოებებს. მან ასევე უსაყვედურა, „ნიანგის“ რედაქციას, რომ ჟურნალმა დღემდე ვერ შეძლო შემოეკრიბა ახალგაზრდა მწერლები სრულფასოვანი სატირიული ლექსებისა და იგავარაკების შესაქმნელად.

ი. ცხოვრებოვმა (სამხრეთ ოსეთი) სამართლიანი უკმაყოფილება გამოთქვა მომხსენებლების მიმართ, რომლებმაც თითქმის არაფერი თქვეს ოსი ახალგაზრდა მწერლების მუშაობაზე.

გ. გოგიჩაიშვილმა, ზ. ჭუმბურიძემ და ა. სულაკაურმა თავიანთი გამოსვლები უმთავრესად მიუძღვნეს ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენილობის საკითხს და ილაპარაკეს ახალგაზრდა კრიტიკოსთა მუშაობის მთელ რიგ ნაკლოვანებებზე.

ო. მამფორიას (ქუთაისი) გამოსვლა ძირითადად შეიცავდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მუშაობის კრიტიკას ქუთაისელ მწერალთა შემოქმედებისადმი უყურადღებობის გამო. მან დააყენა ქუთაისის ოლქში ლიტერატურული გაზეთისა და ალმანახის გამოცემის საკითხი.

კ. ლორთქიფანიძე შეეხო ახალგაზრდა მწერლების მუშაობას ენისა და სტილის დაუფლების საქმეში და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მწერლებისათვის საუკეთესო სკოლაა კლასიკოსების ნაწარმოებთა ვარიანტების გულდასმით შესწავლა. ამხ. ლორთქიფანიძემ დაწვრილებით ილაპარაკა ახალგაზრდა პროზაიკოსის თ. გოგოლაძის შემოქმედებითს მუშაობაზე.

ს. ჩიქოვანი ვრცლად შეჩერდა ქართველი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებზე. მან ახალგაზრდებისაგან მოითხოვა ოსტატობისათვის დაუცხრომელი ზრუნვა, საბჭოთა სინამდვილის ღრმად შესწავლა. ჩიქოვანმა თავისი სიტყვის ბოლო ნაწილი მიუძღვნა თ. გოგოლაძისა და ი. ურჯუმელაშვილის გამოუქვეყნებელ მოთხრობებს, მიუთითა მათ ზოგიერთ ნაკლზე.

შ. აკობია (აფხაზეთი) შეჩერდა აფხაზეთის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი მუშაობის წარმატებებზე; ილაპარაკა იმ დიდ დახმარებაზე, რასაც ახალგაზრდა მწერლებს საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი უწევდა და უწევს. მან გაიზიარა ქუთაისის და სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდა მწერლების წარმომადგენელთა საყვედური მომხსენებლების მიმართ, რომლებიც ზერელედ შეეხნენ პერიფერიებში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას.

ნ. კილასონიამ ილაპარაკა ახალგაზრდა მწერლების ალმანახისა და ჟურნალის გამოცემის საკითხზე და გააკრიტიკა ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისია, რომელიც ხელს არ უწყობს მთარგმნელთა ახალგაზრდა კადრების გამოვლინებას. მან სამართლიანი საყვედური გამოთქვა მწერალთა კავშირის კომკავშირული ორგანიზაციის მიმართ, რომელიც არ აწყობს ახალგაზრდა მწერლების წიგნების განხილვას.

მ. მაჭავარიანმა დააყენა საკითხი, რომ მოეწყოს ახალგაზრდა მწერლების მივლინება მომძმე რესპუბლიკებში.

დ. მურვანიშვილმა თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა დრამატურგიის საკითხებს. მან მოითხოვა მეტი გულისხმიერება ახალგაზრდა დრამატურგთა ნაწარმოებების ბეჭდვის საქმეში.

გ. მაზურინმა აღნიშნა, რომ საჭიროა ქართველმა ახალგაზრდა მწერლებმა სისტემატურად თარგმნონ რუს ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებნი. მწერალთა კავშირისაგან მან მოითხოვა მეტი ყურადღება და დახმარება საქართველოში მომუშავე რუსი ახალგაზრდა მწერლებისადმი.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კ. ჭიჭინაძე, ბ. ჟღენტი, გ. ბეგაშვილი, თ. ბუაჩიძე, ზ. ნაყოფია და სხვ.

ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკური თათბირი ცუდად არ იყო ორგანიზებული, მაგრამ კამათში იგრძნობოდა ერთფეროვნება. სათანადოდ არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, არ იყო დაცული რეგლამენტი. თათბირის ყველა სხდომა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ტრადიციის მიხედვით, დაგვიანებით იწყებოდა. კარგი იქნებოდა წაკითხულიყო მოხსენება ახალგაზრდა კრიტიკოსთა მუშაობის შესახებ, რადგან, როგორც თათბირზე გამოირკვა, ლიტერატურული კრიტიკა ყველაზე ჩამორჩენილი უბანია ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ახალგაზრდა მწერალთა შორის მუშაობის გარდაქმნისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მელქაძემ.

კოჯედოს კუნძულზე

ცრემლი ნაწოსდის ბირიფის ფოთოლს,
პალმაც [illegible]
კუნძულს...
ქვეყნიდან მოწყვეტილს, ობოლს —
ესმის გოდება დაჭრილი გმირის.

დილა თენდება, მაინც დამეა,
ცა ვარსკვლავებმა როგორ მოკედოს!
კაცი კი არა, ქვაც მოწამეა —
რა მწუხარება ერგო კოჯედოს.

იქ ყველას თიბავს სიკვდილის ცელი,
გამეფებულა ხოცვა, წამება,
ებრძვის მონობას ხაშობლის მცველი —
ჯალათის შხამით რომ იწამლება.

რა უნატრიათ იანკებს მეტი,
თუ არა ელეტა, კაცთა აკლება!
დგას ხახრიობელად ყოველი სვეტი,
რაც იქ აღმართეს ავაზაკებმა.

იქ დახახვრეტად ბოძზე მიკრული
სიკვდილს მოელის ულვდავი გმირი,
დაფრინავს მწერი ამერიკული,
დაჰკვნეს ბოლერა, ტიფი და ჭირი.

იქ უოლ-სტრიტის შავი აფთრები
შანთით დადავენ უმწეო ტყვეებს,
კუნძულს რუჯავენ დღეს გამძაფრებით,
ბვალ დაითვლიან სიცოცხლის დღეებს.

ხალხის სიმართლე აღგვის ყაჩაღებს,
რომ ყველანაგ შეწყდეს ბოროტი მტრის ხმა.
ვინც დედამიწის ხანძარს აჩაღებს —
მას თვითონ მოსპობს ხალხების რისხვა.

ვარლამ ჟურული.

ნუნი ნიგნის ბაზარზე

ამჟამად თბილისში მრავალი წიგნი გამოდის. კარგად და ლამაზად გამოცემულ წიგნებთან ერთად ზოგჯერ გვხვდება პრიმიტიულად, უგემოვნოდ და უხარისხოდ შედგენილი წიგნები. ასეთ წიგნთა შორის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სსრ ავიაციის ხელშეშყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების გამოცემა „პირველი ქართველი მფრინავი“. წიგნის ავტორს აქვს პრეტენზია მკითხველს მიაწოდოს ცხოვრები პირველი ქართველი მფრინავის ბ. ქებურიანის ცხოვრებიდან, აგრეთვე რუსეთის ჰაერნაოსნობის, ავიაციისა და გემთმშენებლობის წარსულიდან.

ამ დანიშნულებას წიგნი ვერ ასრულებს ტექნიკურად ძლიერ ცუდად გამოცემისა და უამრავი კორექტურულ-სტილისტური შეცდომის გამო. მოცულობით ამ პატარა წიგნში (26 გვერდი) დაშვებულია 100-მდე კორექტურული, სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომა. წიგნში ვკითხულობთ: „პირველი პრაქტიკულად ვარგისი წყალქვეშა ნავი რუსეთში აააგეს 1.834 წელს. იგი აგებულ იქნა მაშინდელ პეტერბურგში გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე შილდერის პროექტი, მისი წყალწყვა 1000 ფუთს უდრიდა“. გაუგებარია, რისი თქმა სურდა აქ ავტორს.

წიგნის ყოველ სტრიქონზე გვხვდება ასეთი შეცდომები: „მცხოვანი“, „თვითმპრობელობა“, „ტეკნიკა“, „იქვი“, „სახელწოდება“, „პროოტეტეტი“, „კულტურსს“, „ჰლანერიალმზის“, „საქმში“, „კატასტრაფა“, „დაღუპეის მოწამე“ და ა. შ.

წიგნში გამოთქმულია ასეთი უცნაური აზრიც: „პირველი სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა მფრინავებმა 62 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ბევრი მათგანი ახლაც არ არის გადაჭარბებული“ (!). გამოდის, რომ პირველი ხუთწლედის შემდეგ ჩვენი ავიაცია ერთ წერტილზე გაყინულა. საინტერესოა, რომელი წყაროებით სარგებლობდა წიგნის ავტორი, როდესაც ასეთ უმართებულო დასკვნას აკეთებდა.

ყოველივე ამის შემდეგ უფლება გვაქვს შევეკითხოთ წიგნის რედაქტორს გ. რ. გაბრიჩიძეს — რაზე ფიქრობდა იგი, როდესაც ამ ბროშურას „რედაქციას“ უკეთებდა?

ე. უგილავა.

აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასვლითი თბილისში

დიდი წარმატება ჰქონდა აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლებს თბილისში.

ანსამბლი, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატი სეიდ რუსტამოვი ხელმძღვანელობს, 1938 წელს ჩამოაყალიბა თანამედროვე აზერბაიჯანული მუსიკის ფუძემდებელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეკოვმა.

ანსამბლის მონაწილეთაგან განსაკუთრებული წარმატება ჰქონდათ ცეკვის ოსტატებს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ამინა დილმაზის, ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატს მ. იზრაილოვს, ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატს ბეუკ ალამამედოვს, ალიბაბა აბდულაევს, თუთუ ჰამიდოვას და მომღერლებს — სალმან მამედოვს, როზა ბალაიანს და სხვ.

ანსამბლმა შეასრულა აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები— სიმღერა დიდ სტალინზე, მშვიდობაზე, შრომის გმირებზე, ხალხთა მეგობრობაზე, აგრეთვე აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები და ცეკვები, მომძმე რესპუბლიკების ხალხთა სიმღერები.

19 ივნისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის ესტრადაზე გაიმართა აზერბაიჯანის ცეკვისა და სიმღერის და საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების შემოქმედებითი შეხვედრა.

24 ივნისს ანსამბლი ქალაქ ერევანში გაემგზავრა.

კომბინაციორი და თვალისამხვევი თავს არხეინად გრძნობს

სოფლის მეურნეობის საკითხებზე თითქმის არცერთი თათბირი თუ სხვა შეკრება ისე არ ჩატარდებოდა ზესტაფონის რაიონში, რომ მოწინავეთა შორის პირველ რიგში სოფელ თვრინის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა არ დაესახელებინათ. მაგრამ ფაქტებმა გვიჩვენა, რომ მთელი ეს შექება, ხმაური მოჩვენებითი იყო; ნამდვილად კოლმეურნეობაში უხეშად ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, იყო თვალისახვევის, კომბინაციისა და საკოლმეურნეო ქონების განიავების აღმაშფოთებელი ფაქტები.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების მუშაკები, რომლებიც ამ კოლმეურნეობის ხშირი სტუმრები იყვნენ, განგებ ხუჭავდნენ თვალს დამახინჯებათა წინაშე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ჭანკოტაძე, სარგებლობდა რა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების განსაკუთრებული ნდობითა და მხარდაჭერით, დაუსჯელად ეწეოდა სხვადასხვა ბოროტმოქმედებას.

1951 წლის მარტში მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა გაერთიანდა ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან. გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს. ყანჩაველი, ხოლო მ. ჭანკოტაძე თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

კოლმეურნეობათა გაერთიანების მომენტში გამომჟღავნდა მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. ჭანკოტაძის დანაშაულებრივი მოქმედება. გამოირკვა, რომ მ. ჭანკოტაძეს თვალისახვევის მიზნით შემოსავალში ნაჩვენები ჰქონდა 277,66 ცენტნერით მეტი ყურძნის მოსავალი და 23 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომში შესული სიგნალის საფუძველზე რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. გრ. ხუსკივაძემ შეამოწმა კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა. დადასტურდა, რომ კოლმეურნეობაში 27,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 1950 წელს მიღებული ჰქონდათ 60,3 ცენტნერი ყურძენი, სულ 1.640 ცენტნერი. მაგრამ მ. ჭანკოტაძემ კოლმეურნეობის ბუხჰალტერს ლ. არსენაშვილს მოასპობინა ყურძნის ფაქტიური მოსავლის მიღების აქტები, შეადგინა ახალი ფიქტიური აქტები და ყურძნის საშუალო მოსავლიანობის გადიდების მიზნით ფაქტიურ მოსავალს დაუმატა მოკრეფამდე ვითომდა დაუცველობის შედეგად გამოწვეული დანაკარგები—183,66 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის საერთო მოსავლიდან 1.440 ცენტნერი სახელმწიფოს ჩაბარეს, ხოლო 294 ცენტნერზე უჩვენეს, რომ იგი თავიანთ მარანში გადაამუშავეს და მიიღეს 9.886 ლიტრი ღვინო, რომელიც თითქოს გამოყვეს საკოლმეურნეო ვაჭრობის წესით გასასყიდად ლიტრი 12 მანეთად და ფულად შემოსავალში შეიტანეს 118.272 მანეთი; ამასთან საერთო შემოსავალში არარსებული 94 ცენტნერი ყურძნიდან ვითომდა მიღებული 4.717 ლიტრი ღვინის ღირებულების 56.604 მანეთის გასამართლებლად ჭანკოტაძემ კოლმეურნეობის გამგეობაში გამოუძახა 30-მდე კოლმეურნეს და აიძულა ისინი ხელი მოეწერათ უწყისზე, რომ თვითეულმა მათგანმა თითქოს კოლმეურნეობიდან შეიძინა 1.500-3.000 მანეთის ღვინო ლიტრი 12 მანეთად. ასეთი ყალთაბანდური გზით ჭანკოტაძემ შეძლო თავის დასაძვრენი დოკუმენტის შოვნა. ხოლო მოტყუებულ კოლმეურნეებს გადაახდევინეს ფული მათ მიერ უწყისზე ხელმოწერის მიხედვით.

თვალისახვევის მეორე ფაქტი: კოლმეურნეობათა გაერთიანების მომენტში მ. ჭანკოტაძეს აღმოაჩნდა 22 სული ხარისა და 1 ძროხის დანაკლისი. ჭანკოტაძემ კოლმეურნეების სახელზე შეადგინა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი, ამასთან კოლმეურნეები დაარწმუნა, რომ მათ მიერ ხელმოწერილი საბუთი არქივში შეინახებოდა და არაფერი გადახდებოდათ. კოლმეურნეების ს. ჭანკოტაძის, ი. დიაკონიძისა და სხვათა მაგივრად ხელმოწერა თვითონ მ. ჭანკოტაძემ „გააფორმა“.

1950 წლის ივნისში კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. ჭანკოტაძის დავალებით კოლმეურნეებს ხელი მოაწერინეს შრომადღეების ანგარიშში 22.162 მანეთის მიღებაზე, ხოლო ფული არ მისცეს და განუმარტეს მათ, რომ ამ თანხით კოლმეურნეობა შეიძენდა მინერალურ სასუქს და მისცემდა კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთებისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მინერალური სასუქი არავის მოუტანია და ფული უგზოუკვლოდ გაჰქრა.

1950 წლის სექტემბერში კოლმეურნეობამ სოფელ ქვედა საქარის საკოლმეურნეო სავაჭროს თანამშრომელს ნ. გეწაძეს 3 ხარი ჩაბარა (ცოცხალი წონით 525 კილოგრამი), კილოგრამი 15 მანეთად. აქედან მიიღეს 7.875 მანეთი, შემოსავალში კი ჩანს 5.515 მანეთი. როგორც ეტყობა, 2.360 მანეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჭანკოტაძეს, ბუხჰალტერ არსენაშვილსა და საწყობის გამგეს კვანტრიშვილს „შემოეხარჯათ“.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის ბიურომ გასული წლის მაისში განიხილა სოფელ თვრინის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი; თუმცა აღნიშნული ფაქტების მეტი ნაწილი ბიუროსათვის ცნობილი იყო, მაგრამ რაიკომის ბიურომ აშკარა ლიბერალობა და შემარიგებლობა გამოიჩინა თვალისამხვევის, კომბინატორის და საკოლმეურნეო დოვლათის გამნიავებლის მიმართ. კოლმეურნეთა კრებას არასწორი რჩევა მისცეს და მ. ჭანკოტაძეს მხოლოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეობიდან მოხსნა და საყვედურის გამოცხადება აკმარეს. ამის შემდეგ გაიარა რამდენიმე დღემ, და „დასჯილი“ ჭანკოტაძე ერთგულმა შეფებმა ალავერდის 8-წლიანი სკოლის დირექტორად გაგზავნეს.

თვრინელი კოლმეურნეები აღშფოთებით კითხულობენ: რატომ არის დაუსჯელი თვალისამხვევი, თაღლითი და საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელი მ. ჭანკოტაძე? ვინ მფარველობს მას?

ს. მუმლაძე,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.



ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. სურათზე: ხტახანოველი ზეინკალი ვ. გუჯაბიძე (წინა პლანზე) მუშაობს დამხარისხებელი მანქანის აწყობაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

აგურ-კრამიტის გამოშვების გეგმა არ სრულდება

გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხანამ (დირექტორი ვ. დარჩიაშვილი) მიმდინარე წლის ხუთ თვეში 3.050 ათასი ცალი აგურის ნაცვლად მხოლოდ 2.651 ათასი ცალი აგური გამოუშვა, კრამიტის გამოშვების დავალება კი სანახევროდაც ვერ შეასრულა. გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი დაბალი ხარისხისაა. ქარხანამ ოთხ თვეში 96 ათასი მანეთი იზარალა.

ქარხნის ჩამორჩენა ძირითადად მექანიზაციისადმი უყურადღებობამ გამოიწვია. კარიერებიდან თიხას ცხენებით ეზიდვიან, წვიმიან ამინდში გზები ფუჭდება, თიხა ვეღარ მოაქვთ და საყალიბო საამქრო ცდება. თიხის მოსაზიდად სათანადო მექანიზმების მოწყობას რატომღაც აჭიანურებენ. აგურის საშრობი 120 ცალი ვაგონი დაძველდა და დაიმტვრა, ახლის შესაძენად თავს არავინ იწუხებს. წელს კრამიტის საამქრო უნდა გაეფართოებინათ. ეს საქმე დროულად დაიწყეს, მაგრამ საჭირო მასალები ვერ იშოვნეს და თავი მიანებეს.

ხშირად ქარხანა ცდება იმის გამო, რომ მშენებელი ორგანიზაციები დამზადებული პროდუქციის გატანას დანაშაულებრივად აჭიანურებენ. „საქკვებმშენის“ მე-4 სამშენებლო-სამონტაჟო კანტორას (მმართველი კ. ერისთავი) 20 მაისისათვის წასაღები ჰქონდა 1.140 ათასი ცალი აგური. აგურის გატანას აგვიანებენ აგრეთვე საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების, მსუბუქი მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მშენებელი ორგანიზაციები.

ქარხანას არა ჰყავს სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები. სერგო დოდელია სპეციალობით მშენებელი ტექნიკოსია, აქ კი „მთავარ ინჟინრად“ მუშაობს. კრამიტის საამქროს და საშრობ მეურნეობას ექიმის თანაშემწე შოთა დარჩიაშვილი ხელმძღვანელობს, საგამოწვო საამქროს უფროსად ზოოტექნიკოს ს. გოგილაძეს ამუშავებენ, საყალიბო საამქროს დაბალი განათლების მქონე შ. სიბაშვილი უძღვება და ა. შ. ამასთან ერთად 30-მდე მუშა აკლიათ.

ქარხნის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის არ ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები. პარტიულ კრებებზე საწარმოო საკითხებს იშვიათად იხილავენ. ზოგჯერ დადგენილებანი კარგი გამოიქვთ, მაგრამ მათი შესრულებისათვის არ იბრძვიან.

აგურ-კრამიტის ქარხანა გურჯაანის რაიონში ერთ-ერთი დიდი საწარმოა, მაგრამ საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი ქარხნის მუშაობით ნაკლებად არის დაინტერესებული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რაიკომმა ქარხნის მუშაობის საკითხი მხოლოდ ერთხელ და ისიც ზერელედ განიხილა. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ქარხნიდან ზეგმების შესრულების შესახებ ცნობების მოთხოვნითია და მიღებით კმაყოფილდება, ხოლო არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ქმედითი ზომებს არ იღებს.

გურჯაანის აგურისა და კრამიტის ქარხნის ჩამორჩენილობას ბოლო უნდა მოელოს.

ს. ძოწლაძე,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

მშენებლობანი სოფლად

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები სახელმწიფოსაგან დიდი რაოდენობით იღებენ კრედიტებს და უფრო ფართოდ აჩაღებენ ახალ მშენებლობებს. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა კრედიტის სახით მიიღეს ერთ მილიონამდე მანეთი. ამ თანხას იყენებენ საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობისათვის.

უკანასკნელ ხანებში ორი კარგი საჩუქარი მიიღო სტალინირის რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობამ. აჩაბეთელებმა სოფელში გამოიყვანეს წყალსადენი, აგრეთვე ელექტროსაზი.

ათობით კოლმეურნეობაში მიმდინარეობს საზოგადოებრივი პირუტყვის ბინების, კანტორების, კლუბებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

იბრძოლეთ გაერთიანებულ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ გერმანიასთან სიკეთისა და ხელშეკრულებისათვის!

არასოდეს აღარ უნდა გამეორდეს ასეთი დღე, როგორიც იყო 1941 წლის 22 ივნისის დღე!

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს მიმართვა

ბერლინი, 22 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენი სამშობლოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებო გერმანელებო! 1941 წლის 22 ივნისი გერმანელი ხალხის ისტორიაში ყველაზე შავბნელი დღე იყო.

ამ დღეს ფაშისტური ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს დიდ სოციალისტურ საბჭოთა კავშირს და განუზომელი ტანჯვა, ცრემლი, სისხლი და მკვლელობა მიუტანა საბჭოთა ხალხს. ჩადენილ იქნა ისეთი დანაშაული, რომლის მსგავსი არ ჩადენილა. ფაშისტთა ურდოები მძვინვარებდნენ მშვიდობისმოყვარე ქვეყანაში, მათ დაანგრიეს მრავალი ათასი ქალაქი და სოფელი.

საბჭოთა ადამიანებმა სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულების გრძნობით გრანდიოზულ ბრძოლებში მოსპეს იმ დროს იმპერიალისტთა ყველაზე დიდი და ყველაზე საშიში სამხედრო ძალა — ჰიტლერული სამხედრო მანქანა. საქმე დამთავრდა ჰიტლერული რეჟიმის სრული და სამარცხვინო დამარცხებით. სიმართლემ გაიმარჯვა უსამართლობაზე, მშვიდობის ძალებმა —ომის შავბნელ ძალებზე.

გერმანელო ქალებო და კაცებო! გერმანელო ახალგაზრდობავ!

ამ დღეებში ვიფიქროთ იმაზე, რომ დიდმა საბჭოთა კავშირმა იმითვე არ გადაგიხადა სამაგიერო! შეიგნეთ მთელი სიდიადე საბჭოთა ხალხისა და მისი გენიალური მასწავლებლისა და ბელადის გენერალისიმუს სტალინისა, რომელმაც ჯერ კიდევ 1942 წელს თქვა, რომ „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი — რჩება“.

გერმანელებო! შეიგნეთ, რომ უკვე მაშინ, როცა დაბრმავებული გერმანელი ხალხი ფეხქვეშ თელავდა საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, გენერალისიმუსი სტალინი გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავადაც გამოეადა. ჩვენ უდიდესი მადლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ხალხი იცავდა არა მარტო საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებასა და მომავალს, არამედ იცავდა აგრეთვე ჩვენს ეროვნულ მომავალს ბარბაროსული ფაშიზმისაგან და ეს მომავალი იხსნა ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის.

უნდა შევიგნოთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი და გენერალისიმუსი სტალინი ყოველთვის მთელი ძალებით უჭერენ მხარს გერმანიის მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიზაციას და ჩვენს საკუთარ ღონისძიებებს. ფაშიზმის დამმარცხებელნი გახდნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო თანაშემწეები და მეგობრები.

უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასაც გერმანიის გათიშვის დაძლევისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში უაღრესად მტკიცე ბასტიონი შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ იმის მეოხებით, რომ გერმანელმა ხალხმა გენერალისიმუს სტალინისა და საბჭოთა კავშირის ხალხების სახით დიდი და ერთგული მეგობრები ჰპოვა. დიდ სოციალისტურ საბჭოთა კავშირთან ეს მეგობრობა გერმანელი ერის არსებობისა და აყვავების საწინდარია. ეს მეგობრობა უნდა შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ და დავიცვათ, რადგან თუ ასეთი მეგობრობა არ იქნა, შეუძლებელია გერმანელი ხალხის თავისუფალი ბედნიერი მომავალი.

ამ მეგობრობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დემოკრატიული გერმანიის სახალხო პალატა და ეროვნული ფრონტი იძენენ ძალას გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის პატრიოტულ ბრძოლაში და იმისათვის, რომ გერმანელი ხალხი წაიყვანონ ყველა მისი ეროვნული საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზით. ამასთან ერთად ჩვენ მოვიპოვეთ უანგარო დახმარება საბჭოთა კავშირის მთავრობისა, რომელმაც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავისი პროექტით და თავისი ნოტებით დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობებისადმი გერმანელ ხალხს უდიდესი დახმარება გაუწია გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზაზე.

ყოველ გერმანელ პატრიოტს დიდი მადლობით აქვს შეგნებული, რომ არსებობს ურყევი ძალა, რომელმაც ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა თავის ამოცანადაც გახადა.

ადენაუერსა და დასავლეთის სამი სახელმწიფოს უმაღლეს კომისრებს არა სურთ შეთანხმება და საზავო ხელშეკრულება. მათ ომი სურთ. ამიტომ ადენაუერმა ხელი მოაწერა მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“. ამიტომ ბონელი გამცემნი დასავლეთ გერმანიაში ქმნიან ავრესიულ დაჭირავებულ არმიას ფაშისტი გენერლების სარდლობით, რომელიც, როგორც ამერიკელთა ავრესიული არმია, უნდა გამოვიდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მშვიდობის ბანაკისა და ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ძმათამკვლელ ომში ჩაითრიოს გერმანელი ხალხი.

ჩვენი სამშობლოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებო ქალებო და კაცებო!

შეიგნეთ ამ საფრთხის მთელი სერიოზულობა, რომელიც მოეკლინა ჩვენს ხალხსა და სამშობლოს!

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დროშით გაერთიანდით დიდ საბჭოთა კავშირთან სამარადისო სიბრძოლო მეგობრობით მშვიდობის დასაცავად! უფრო გაბედულად გააჩაღეთ ეროვნული წინააღმდეგობა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ განხორციელებისა და ბონის დანაშაულებრივი მთავრობის წინააღმდეგ.

მიბაძეთ ეროვნული ძალის დიდ მაგალითს, რომელიც მთელ კაცობრიობას უჩვენა საბჭოთა ხალხმა თავის განმათავისუფლებელ სამამულო ომში; გაუკაფეთ გზა სრულიად გერმანიის თანმირნს, თავისუფალ დემოკრატიულ არჩევნებს მთელ გერმანიაში, იბრძოლეთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ჩვენი გერმანული სამშობლოს ერთიანობის მშვიდობიანი აღდგენისათვის.

იბრძოლეთ მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის, იმისათვის, რომ გერმანელმა ხალხმა მიიღოს ნამდვილი სუვერენიტეტი და შეძლოს იცხოროს და წარმატებს მიაღწიოს საბჭოთა კავშირთან და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან სამარადისო მეგობრობით.

შედეგად მძლავრი პატრიოტული განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში, რომელმაც უნდა დაამხოს ადენაუერის გამცემლური მთავრობა, რათა ჩვენს ხალხს გაუხსნას მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის გზა.

მოაწყეთ შეიარაღებული თავდაცვა ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის დასაცავად! ყოველი ფხიზელნი და იმისათვის მუდამ მზადმყოფნი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ გერმანელი ხალხისა და სამშობლოს მტრებს! გააძლიერეთ ბრძოლა სამარცხვინო ანტისაბჭოთა ცილისწამების წინააღმდეგ!

განამტკიცეთ სამარადისო მეგობრობა საბჭოთა კავშირთან! არასოდეს აღარ უნდა გამეორდეს და აღარც გამეორდება 1941 წლის 22 ივნისის დღე!

გაუმარჯოს გერმანელი ხალხის და საბჭოთა ხალხის სამარადისო მეგობრობას!

გაუმარჯოს გენერალისიმუს სტალინს, მშვიდობის უძლეველი მსოფლიო ბანაკის ბრძენ მასწავლებელს და ბელადს, გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარს!

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო“.

კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა

(საომარი მოქმედების დაწყების მეორე წლისთავის გამო)

ორი წლის წინათ, 1950 წლის 25 ივნისს, ამერიკელმა იმპერიალისტებმა კორეელ ხალხს თავს მოახვიეს სამკვდროსასიცოცხლო ომი. ამ ომის პროვოცირების მიზნით გამოყენებულ იქნა ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობის მძარცველური არმია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები იმთავითვე ენერგიულ დახმარებას უწევდნენ.

ცნობილია, რომ პრეზიდენტ ტრუმენს, რომელიც მოჯადოებული იყო აზიის ხალხთა ჯალათის გენერალ მაკარტურის „იოლ გამარჯვებათა“ ფანტასტიკური გეგმით, კორეაში გაჩაღებული დაპყრობითი ომი უბრალო კონფლიქტად მიაჩნდა. იგი ამერიკელ ჯარისკაცებს არწმუნებდა: გაისეირნებთ, გამდიდრდებით და შინ მალე უვნებელი დაბრუნდებითო. ამ რწმენით მისწრაფოდნენ ამერიკელი განგსტერები კორეელი ხალხის დასამონებლად, მაგრამ ავანტიურისტ ხელისუფალთა დაპირება და ამერიკელ ჯარისკაცთა რწმენა მაკარტურის ფანტასტიკურ გეგმასავით არარეალური აღმოჩნდა.

კორეის სახალხო არმიამ პირისპირ ბრძოლაში არაერთგზის დაამარცხა თავით ფეხამდე შეიარაღებული ამერიკელი ინტერვენტები და მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ უძლეველია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხი.

კორეაში აგრესიულ ღონისძიებათა ჩაფუშვით გაბოროტებულმა ამერიკელმა იმპერიალისტებმა აამოქმედეს დოლარებით მოსყიდული სატელიტი ქვეყნები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით აღჭურვილი თვრამეტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები მიუსიეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კორეას.

კორეელ ხალხს მხარი დაუჭირეს ჩინელმა მოხალისეებმა, რომლებიც გვერდით ამოუდგნენ კორეის სახალხო არმიას. ორი მოძმე ხალხის საბრძოლო თანამეგობრობამ წარმოქმნა ძალა, რომელსაც შეუძლია ყოველგვარ განსაცდელს გაუძლოს და ჩაფუშოს აგრესორთა ავაზაკური გეგმები.

კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა განვლილ პერიოდში დიდი ზარალი მიაყენეს ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკა მწვავე კრიზისს განიცდიდა. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ამერიკელი ხელისუფალნი დათანხმდნენ დაეწყოთ მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ.

1951 წლის 10 ივლისს დაიწყო ეგრეთწოდებული კესონის მოლაპარაკება. მაგრამ ეს იყო ამერიკელ იმპერიალისტთა ახალი თვალთმაქცობა. გენერალი რიჯუეი მშვიდობაზე როდი ფიქრობდა. მას განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა მოლაპარაკებით გამოწვეული დამშვიდება და უეცარი დარტყმებით გაენადგურებინა კორეის სახალხო არმია. აზიის ხალხთა ახალ ჯალათს დამხმარე ძალები გადაეყავდა კორეაში და შეტევას აძლიერებდა. მან კესონი ახალი ავანტიურის ბაზად გამოიყენა.

გასული წლის აგვისტოში პროგრესული კაცობრიობა აღაშფოთა კესონის ნეიტრალური ზონის დაბომბვის ცნობამ და იმ ფაქტმა, რომ ამერიკელმა ავანტიურისტებმა შეუძლებელი გახადეს შემდგომი მოლაპარაკება. ორი თვის შემდეგ ისევ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა ხელმძღვანელობის მოთმინებამ და სულგრძელობამ შესაძლებელი გახადა მოლაპარაკების განახლება, ამჯერად პანმინჯონში (კესონის მახლობლად). მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ განაგრძობენ თვალთმაქცობას და ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ გააჭიანურონ მოლაპარაკება, შეუძლებელი გახადონ შეთანხმების მიღწევა.

აგრესორთა სურვილის წინააღმდეგ, კორეელი ხალხისა და ჩინელ მოხალისეთა წარმომადგენლების ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად, განვლილ პერიოდში მიღწეულ იქნა შეთანხმება თითქმის ყველა საკითხზე, შეუთანხმებელი დარჩა მხოლოდ ერთი—სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი.

მეორე მხარემ, რომელსაც არ სურს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა, წამოაყენა სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციისა“ და „შერჩევის“ პრინციპი. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები მუხანათურად ცდილობენ იძულებით ტყვეობაში დატოვონ 100 ათასზე მეტი კორეელი და ჩინელი პატრიოტი, რომლებსაც ისინი საზარბაზნე ხორცად გამოყენებას უპირებენ ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის ბანდიტურ არმიებში.

ამერიკელ კაცისმკვლელთა ნამდვილი მისწრაფება და მათი ავაზაკური მოქმედება საყოველთაოდ ცნობილი გახადა კოჯედოს ტრაგიკულმა ამბებმა. წინათ უცნობი კუნძული კოჯედო ხალხთა ხსოვნაში მუდამ დარჩება და გულისწყრომას გამოიწვევს როგორც ჰიტლერული სიკვდილის ბანაკები—მაიდანეკი და დახაუ, ოსვენციმი და ლიდიცე, ტრემბლინკი და ბუხენვალდი.

კორეელი სერჟანტი ჩე სონ ოკი, რომელმაც თავი დააღწია კოჯედოს სიკვდილის ბანაკს, გაზეთ „ჩოსონ ინჭინგუნში“ აღწერს იქ გამეფებულ უმსგავსოებას. „ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია, — წერს ჩე სონ ოკი, — არა ისეთი, როგორიც მე შემძლო წარმომედგინა წიგნებისა და ზღაპრების მიხედვით, არამედ უფრო საშინელი და საოცარი“. იქ ტყვეებს საშინლად აწამებენ, აიძულებენ სისხლით მოაწერონ ხელი ყალბ დოკუმენტებს. „ურჩ“ ტყვეებს უმოწყალოდ ხოცავენ. ასეთ მდგომარეობაშია კოჯედოს 80 ათასი სამხედრო ტყვე. მხოლოდ ორ დღეს—18 თებერვალს და 1 მაისს—ამერიკელმა არამზადებმა 670 ტყვე დახოცეს.

აიესო სამხედრო ტყვეთა მოთმინების ფიალა. 7 მაისს მათ შეიპყრეს ბანაკის კომენდანტი გენერალი დოდ და დამალეს ბანაკის ტერიტორიაზე. მისი განთავისუფლების პირობად წამოაყენეს ტყვეებისადმი ადამიანური მოპყრობა, უმსგავსოების აღკვეთა.

ახალმა კომენდანტმა გენერალმა კოლსონმა აღიარა, რომ მართლაც იყო სისხლისღვრის შემთხვევები, ტყვეებს სასტიკად ეპყრობოდნენ და აიძულებდნენ ხელი მოეწერათ „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ პეტიციებზე. მან ვალდებულება იკისრა — თუ გენერალ დოდს უვნებლად გაათავისუფლებდნენ, სამხედრო ტყვეებისადმი არაადამიანური მოპყრობისა და იარაღით ძალადატანების შემთხვევები აღარ გამეორდებოდა.

სამხედრო ტყვეებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს გენერალ კოლსონის განცხადება და 10 მაისს გაათავისუფლეს გენერალი დოდი. მაგრამ ამერიკელმა ხელისუფლებმა გზიდან ჩამოიშორეს ბნელი საქმეების ფარდის ამხდელი გენერლები დოდი და კოლსონი, ჩამოართვეს მათ გენერლის ჩინი და სამხედრო ტყვეებისათვის მიცემული დაპირება ფარატინა ქაღალდად აქციეს.

ახალმა მთავარსარდალმა გენერალმა კლარკმა, რომელმაც შავი ჭირის გენერალი რიჯუეი შეცვალა, 12 მაისს განაცხადა, რომ ტყვეებისადმი ჰუმანური მოპყრობის დაპირება შესრულებული არ იქნება. კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკის კომენდანტად დაინიშნა გენერალი ბოუტნერი, რომელმაც სისხლიანი ხელი ამართა „ურჩი“ ტყვეების დასათრგუნავად.

ამას წინათ გამოქვეყნდა 6.223 სამხედრო ტყვე-პატიმრის მიმართვა. ეს მიმართვა კუნძულ კოჯედოდან ფხენიანში მიიტანეს გმირმა პარტიზანებმა. მიმართვაში აღწერილია, თუ როგორ აწამებენ და ხოცავენ სამხედრო ტყვეებს. სისხლისმსმელი ჯალათი გენერალი ბოუტნერი კოჯედოზე ფართოდ იყენებს ადამიანთა გაელეტის სადისტურ მეთოდებს — მომწამლავ ნივთიერებებს და ბაქტერიოლოგიურ იარაღს, გაზის კამერებს, ელექტროდენს, ცოცხლად დაწვას, აკუწვას, ზღვაში დახრჩობას, სახრჩობელას.

—სიკვდილი ემუქრება ყოველ ჩვენგანს ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს, — წერენ სამხედრო ტყვეები.

23 მაისს ამერიკელმა ჯალათებმა № 77 ბანაკში ოთხ პატიმარს თავები მოჰკვეთეს და ხეზე ჩამოკიდეს. ამავე დღეს № 16 ბარაკში ელექტროდენით დახოცეს 18 პატიმარი.

შეუძლებელია დამშვიდებით წაიკითხო ტანჯულ ადამიანთა სიტყვები: „კოჯედო ჩვენთვის ჯოჯოხეთად გადაიქცა, — წერენ ისინი. — წყალი კი არა, ჩვენი ცრემლები და ჩვენი სისხლი ასველებს ამ კუნძულს, სუფთა ჰაერი კი არა, სისხლის სუნი მოდის ჩვენამდე ამ კუნძულის ყოველი კუთხიდან“. ასეთი ტანჯვის მიუხედავად, სამხედრო ტყვეთა ფიქრი და გრძნობა მიმართულია სამშობლოსაკენ. ისინი სულით არ ეცემიან, სწამთ, რომ გაიმარჯვებს სიმართლე, გაიმარჯვებს კორეელი ხალხი.

კორეის სახალხო არმია და ჩინელი მოხალისეები გმირულად იბრძვიან და ფუშავენ ინტერვენტთა სამხედრო ღონისძიებებს. დრო ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი არმიის სასარგებლოდ მოქმედებს. ახლა ამერიკის ავიაცია ისე თავისუფლად ვეღარ ნავარდობს კორეის საჰაერო სივრცეში. ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტიც“ კი შენიშნავს: „მოწინააღმდეგის ობიექტების იოლი დაბომბვისა და ჰაერში ჩვენი უდავო ბატონობის დღეები წავიდაო“. არის დღეები, როცა სახალხო არმიის მებრძოლები მტრის 10-12 თვითმფრინავს სპობენ. წელს მაისში ჩამოაგდეს მტრის 150 და დაზიანეს 23 თვითმფრინავი, ჩაძირეს 8 და დაზიანეს 5 სამხედრო გემი.

გზაბნეული ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები თავხედობას არ იმჩნიან, ჯიუტობენ და ხელოვნურად აჭიანურებენ პანმინჯონის მოლაპარაკებას. მათ კვლავ სურთ დააშინონ კორეელი ხალხი. ამის გამო მოხდენილად არის ნათქვამი კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეის წერილში, რომელიც გენერალ მარკ კლარკს გაეგზავნა. „უნდა იცოდეთ, — ვკითხულობთ ამ წერილში, — რის მიღწევაც ბრძოლის ველზე არ შეიძლება, არც კონფერენციის მაგიდასთან შეიძლება“. ბრძოლის ველზე მრავალგზის დამარცხდნენ ამერიკელი ყოყოჩა გენერლები. მუქარამ და ქედმაღლობამ კონფერენციის მაგიდასთანაც ვერ ჰპოვა წარმატება. გმირი ხალხის დაშინება შეუძლებელია.

კორეელი ხალხის ძალისა და უძლეველობის წყარო ის არის, რომ იგი სამართლიან ომს ეწევა — იცავს სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. კორეელ ხალხს საბრძოლო დახმარებას უწევს მოძმე დიდი ხალხი — ჩინელი ხალხი. მას თანაუვრძნობს და ბრძოლაში აღაფრთოვანებს მშვიდ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 23 ივნისის სხდომა ი. ა. მალიკის თავმჯდომარეობით დაიწყო იმ საკითხის განხილვით, რომ შეტანილ უნდა იქნას თუ არა საბჭოს დღის წესრიგში შეერთებული შტატების წინადადება კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხის გამორკვევის შესახებ. როცა შეერთებული შტატების დელეგაციამ წარადგინა წინადადება დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის შესახებ, მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეიტანოს იგი, მაგრამ ამ საკითხის განხილვა შეუძლებლად მიაჩნია, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

ამიტომ, განაცხადა მან, საბჭოთა კავშირს შემოაქვს წინადადება, რათა შეერთებული შტატების წინადადების დღის წესრიგში შეტანასთან ერთად უშიშროების საბჭომ მოიწვიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ დასმული საკითხის განხილვის მიზანი არ იქნება მიღწეული, თუ ამ განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენ წარმომადგენლები იმ ქვეყნებისა, რომელთა ტერიტორიაზე მოხდა ის ამბები, რასაც უშუალო დამოკიდებულება აქვს შეერთებული შტატების მიერ დაყენებულ საკითხთან.

მალიკმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა კორეაში დაიწყეს აგრესია, ამერიკა-ინგლისის ბლოკმა შემოიღო საკითხთა განხილვა ცალმხრივ საფუძველზე, ამერიკული ვერსიით. ასე რომ იქცევა, ამერიკის ბლოკი არღვევს უშიშროების საბჭოს წესდებას, პროცედურის წესებს და მოქმედებს საღი გონების წინააღმდეგ.

დასასრულ მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების წინადადების განხილვა, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგო და უსამართლო იქნებოდა.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გროსმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ ჯერ უნდა მიიღოს დღის წესრიგი და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილოს ესა თუ ის წინადადება უშიშროების საბჭოს მიერ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად სხვა სახელმწიფოების მოწვევის შესახებ.

გროსი შეეცადა ისე დაესახა საქმე, თითქოს მალიკის წინადადება იყო ჯერ მოიწვიოთ ჩინეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო შემდეგ მიეღოთ დღის წესრიგი.

ი. ა. მალიკმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებაში ხაზგასმულია მოქმედების ერთდროულობა: დღის წესრიგის მიღება და ჩინეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ან ვერ გიგო საბჭოთა წინადადება, ან განზრახ შეეცადა დამახინჯებინა იგი. მან დასძინა, რომ შეერთებულ შტატებს სურთ საკითხის ცალმხრივად გაშუქება, სურთ, რომ უშიშროების საბჭომ მოისმინოს მხოლოდ ამერიკული ვერსია.

დაახასიათა რა ასეთი მიდგომა როგორც უზეში და თვითნებური, მალიკმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლიათ უკარნახონ თავიანთი პირობები ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში და არა უშიშროების საბჭოში, რომლის წევრი სუვერენული სახელმწიფოები საკითხებს განიხილავენ თანასწორობის საფუძველზე. თუ არ იქნა იმას გარანტია, რომ ჩინეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ განხილვაში, განაგრძო მალიკმა, საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია დათანხმდეს იმაზე, რომ ამერიკელების მიერ წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას დღის წესრიგში.

საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს პრობლემის სამართლიან ნორმალურ გადაწყვეტას: შეტანილ იქნას საკითხი დღის წესრიგში და ამავე დროს მოწვეულ იქნან ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, უშიშროების საბჭოს 23 ივნისის სხდომაზე ირჩეოდა საკითხი: შეტანილ უნდა იქნას თუ არა დღის წესრიგში ამერიკის წინადადება კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხის გამორკვევის შესახებ. მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შეიტანოს წინადადება დღის წესრიგში, აღნიშნა რა, რომ მის განხილვაში მონაწილეობისათვის მოწვეულ უნდა იქნან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გროსმა დაჟინებით მოითხოვა, რომ მისი წინადადება დღის წესრიგში შეტანილ იქნას იმ ფორმით, როგორითაც იგი თავდაპირველად წარადგინა შეერთებული შტატების დელეგაციამ, ე. ი. ისე, რომ უშიშროების საბჭოში წინადადების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ არ იქნან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამასთან გროსი შეეცადა ისე დაესახა საქმე, თითქოს მალიკი ბოროტად აყენებს საბჭოს თავმჯდომარის მდგომარეობას, რათა ხელი შეუშალოს იმას, რომ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამერიკის რეზოლუციის გამო ამერიკის წინადადების დღის წესრიგში შეტანის შესახებ.

ინგლისის წარმომადგენელმა ჯენმა მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების პოზიციას.

მალიკმა აღნიშნა გროსის უტაქტო საქციელი და ამერიკის დელეგატის მტკიცების უსაფუძვლობა. მალიკმა განაცხადა, რომ მან უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა მოიწვია ამერიკის წინადადების განსახილველად. საბჭოთა დელეგაცია, თქვა მალიკმა, საკითხის განხილვაში ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ თავის წინადადებას შემოიტანდა იმის დამოუკიდებლად, იქნებოდა თუ არა იგი თავმჯდომარედ უშიშროების საბჭოში.

საბერძნეთის წარმომადგენელმა კირუმ მოითხოვა დაუყოვნებლივ ეყაროს კენჭი საკითხს, შეტანილ უნდა იქნას თუ არა დღის წესრიგში ამერიკის წინადადება მისი თავდაპირველი ფორმით. მალიკმა განაცხადა, რომ იგი კენჭს უყრის საკითხს, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილია 5 დელეგატი, რომლებსაც გამოსვლა სურთ, დრო კი აღარ რჩება.

შემდგომი ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა კვლავ შეიკრიბოს 27 ივნისს.

ბონის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ

მშვიდობის მოყვარეთა კონფერენცია ბავარიაში

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც აფდ-ის საგენტო იუწყება, გუშინ ნიურნბერგში გაიმართა ბავარიის ყველა ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციისა და მშვიდობის მომხრეთა გაერთიანების მშვიდობის დაცვის კონფერენცია. დელეგატებმა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მოუწოდეს უკომპრომისო ბრძოლა აწარმოოს ბონში დადებული სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ. კონფერენციაზე მიღებულ იქნა „მიმართვა ყველასადმი", რომელიც მოუწოდებს მოსახლეობას, განურჩევლად პარტიულ-პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, დაიწყონ ბრძოლა ადენაუერის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ და მტკიცე ერთობლივი მოქმედების გზით ხელი შეუშალონ ბონის სამხედრო ხელშეკრულების განხორციელებას.

რიჯუეი დასავლეთ გერმანიაში ჩავიდა

პარიზი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იტყობინება, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი რიჯუეი დღეს დილით ჩავიდა ბიუკებურგის (დასავლეთ გერმანია) აეროდრომზე დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო ჯარების ინსპექტირებისათვის.

იტალიელმა ხალხმა მძლავრი პროტესტი განაცხადა ბაქტერიოლოგიური გენერლის რიჯუეის ჩასვლის წინააღმდეგ (გაზეთებიდან).

დაუპატიჟებელმა სტუმარმა საკადრისი პასუხი მიიღო.
ნახატი ფირცხალავასი და თბილელისა.

ვენესუელამ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან

პრაღა, 22 ივნისი. (საკდესი). გუშინ პრაღაში გამოქვეყნდა შემდეგი ოფიციალური ცნობა:

1952 წლის 21 ივნისს ვენესუელის დესპანმა პრაღაში ბ-ნმა მარტურეტმა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ვენესუელის მთავრობამ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობასთან. ვენესუელის ხელისუფლებამ იგივე აცნობეს ჩეხოსლოვაკიის დესპანს კარაკასში.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობიდან საზოგადოებრიობამ შეიტყო ვენესუელის მთავრობის უკანონო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ კარაკასში. სსრ კავშირის მთავრობამ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ვენესუელასთან და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მიმართა თხოვნით გაეწია სსრ კავშირის ინტერესების წარმომადგენლობა და უწინარეს ყოვლისა დაეცვა კარაკასში საბჭოთა საელჩოს წევრები, რომელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე მოელის; ვენესუელის პოლიცია გარს შემოერტყა საბჭოთა საელჩოს შენობას; ვენესუელის ხელისუფლებამ საელჩოს წევრებს წაართვეს რაგორც დაუბრკოლებელი გამომგზავრების, ისე თავიანთ მთავრობასთან კავშირის დამყარების შესაძლებლობა. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ ხალისით აიკისრა სსრ კავშირის ინტერესების წარმომადგენლობა ვენესუელაში თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით და ამავე დროს მიიღო დიპლომატიური ღონისძიებანი საბჭოთა საელჩოს წევრების მიმართ ვენესუელის ხელისუფლების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. ვენესუელის მთავრობამ, რომელსაც შეგნებული აქვს რა თავისი პასუხისმგებლობა და არ გააჩნია არავითარი არგუმენტი თავისი უმაგალითო, უკანონო მოქმედების ასახსნელად, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას უპასუხა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით.

მთელი პასუხისმგებლობა ამ ცალმხრივი ნაბიჯისა და მისი შედეგებისათვის ვენესუელის მთავრობას ეკისრება.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ, რომელიც ინფორმირებული იყო კარაკასში საბჭოთა საელჩოს წევრების მიმართ ვენესუელის ხელისუფალთა თვითნებობის შესახებ, ვენესუელის მთავრობას მოსთხოვა, რომ საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიური პრაქტიკის შესაბამისად უზრუნველყოს ჩეხოსლოვაკიის დესპანისა და კარაკასში ჩეხოსლოვაკიის მისიის წევრთა ყველა უფლება და ხელშეუხებლობა და უზრუნველყოს მათთვის სრულიად დაუბრკოლებელი გამომგზავრება. იმ შემთხვევაში, თუ ვენესუელის მთავრობამ არ შეასრულა ეს ელემენტარული პირობები, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა უფლებას იტოვებს მიიღოს სამასუხო ღონისძიებანი პრაღაში ვენესუელის მისიის მიმართ.

სამხედრო წარმოების ზრდა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში ფართოვდება მასობრივი სამხედრო წარმოება. ამას მოწმობს ცნობა, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „ფორვერტსმა" (გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდის" გამოცემა, რომელიც ორშაბათობით გამოდის). ცნობა შედგენილია ამ გაზეთის რედაქციის განკარგულებაში არსებული დოკუმენტების საფუძველზე.

ამ დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები და ადენაუერის რევანშისტული ხროვა უკვე დიდი ხანია იყენებენ დასავლეთ გერმანიის სამრეწველო პოტენციალს თავიანთი სამხედრო მზადებისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ფაქტის დამალვა აღარ შეიძლება, დასავლეთის სახელმწიფოები და ბონის ხელისუფალნი ცდილობენ სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების სათანადოდ ჩამოყალიბებული მუხლების დახმარებით გამამართლონ ეს მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას, და ამავე დროს შექმნან ატომური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების დაწყების წინაპირობები.

როგორც ცნობაშია აღნიშნული, ამერიკისა და ბონის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოესი წლის განმავლობაში დასავლეთ გერმანიის მეტალურგიული მრეწველობა ფოლადის წარმოებას 18 მილიონიდან გაადიდებს 20 მილიონ ტონამდე წელიწადში. ქვანახშირის ამოღება უნდა გადიდდეს 126 მილიონ ტონამდე წელიწადში.

უდიდესი ქიმიური ქარხნები „ი. გ. ფარბენინდუსტრი" უკვე დღეს ამზადებენ 6.100 ტონა თეთრ ფოსფორს წელიწადში. ვალსჰუტტეში შენდება ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად დამზადებს 1.800 ტონა თეთრ ფოსფორს. როგორც ცნობილია, თეთრ ფოსფორს იყენებენ ფოსფორის ბომბების დასამზადებლად.

მანჰაიმში „ი. გ. ფარბენინდუსტრის" საწარმოებში 12 ათასი მუშა ამზადებს საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს. კელნის სამხრეთით სრული სიმძლავრით მუშაობს დინამიტის დამამზადებელი ქარხანა.

ვერდოლში (ბავარია) მზადდება ასაფეთქებელი ფისტონები. ნოიმიუნსტერში (შლეზვიგ-ჰოლშტაინი) ყოველ საათში მზადდება 5 ათასი ხელის გრანატი. ზოლინგენში ამზადებენ შაშხანების ხიშტებს.

შტუტგარტის მახლობლად ნეკარის ჰლოჰინგენში სრული სიმძლავრით წარმოებს „მგ-42" ტიპის ტყვიამფრქვევების წარმოება. ფელბერტში (დიუსელდორფის ახლოს) ერთ-ერთი ფირმა ამზადებს ხელის გრანატებს. ეკერდორფში (კოლის ახლოს) მზადდება შაშხანები. მიუნხენში ფოტოაპარატურის ქარხანა „ლინჰოფი" ატომის ენერგიის საკითხთა ამერიკის კომისიას აწვდის სპეციალურ ფოტოკამერებს. ნიურნბერგში ფირმა „გრუნდიგი" ამზადებს საველე ტელეფონებს და სამხედრო რადიომოწყობილობას. ნიურნბერგის საფეიქრო საწარმოები „მიულერი" ამზადებენ სამხედრო ტანსაცმელს. ალჰაში (ბავარია) კრუპის სატანკო ქარხნებმა, რომლებიც ჰიტლერის დროს ტანკ „ავაზას" ამზადებდნენ, კვლავ დაიწყეს თავიანთი წარმოება.

საფრანგეთის ხელისუფალნი ათავისუფლებენ სამშობლოს გამცემლებს

პარიზი, 23 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „კომბა" იუწყება, რომ იუსტიციის მინისტრის განცხადების თანახმად, 1951 წლის 1 იანვრიდან 1952 წლის 1 ივნისამდე საფრანგეთში ამნისტირებულ იქნა 1.824 გამცემი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰიტლერელ ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 ივნისი, (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 23 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა:

გუშინ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ფრონტის ყველა უბანზე კვლავ წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშებს, ამასთან დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის რაიონების დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

ამერიკელ აგრესორთა საზარელი ბოროტმოქმედებანი

ფხენიანი, 22 ივნისი. (საკდესი). ბრესა აქვეყნებს კორეაში ამერიკელ აგრესორთა საზარელი ბოროტმოქმედების ახალ ფაქტებს. გაზეთმა „ნოდონ სინმუნმა" დაბეჭდა სტატია ინტერვენტთა ამას წინათ გამორკვეული ბოროტმოქმედების — ინტერვენტების მიერ ქალების, მოხუცებისა და ბავშვების მასობრივი მკვლელობის შესახებ. სტატიაში ნათქვამია, რომ 1950 წლის შემოდგომაზე, როცა ამერიკის ჯარები სამხრეთისაკენ იხევდნენ, ამერიკელი ინტერვენტები ძალით მიერეკებოდნენ კორეის ჩრდილოეთ ნაწილის მშვიდობიან მოსახლეობას და ულტდნენ მას. ვონჯუს სადგურზე ინტერვენტებმა 3 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები შერეკეს საკონლის ვაგონებში სამხრეთისაკენ გაგზავნის საბაბით და ჩაკეტეს ვაგონები. ამის შემდეგ სადგურის თავზე გამოჩნდნენ ამერიკის თვითმფრინავები, რომლებმაც დიდძალი ნაპალმის ბომბი დააყარეს ეშელონს და რეაქტიული ზარბაზნები დაუშინეს ვაგონებს. შედეგად ვაგონები ადამიანებითურთ ფერფლად იქცა. დაიღუპა სამი ათასივე კაცი.

„ნოდონ სინმუნი" აქვეყნებს ავრეთვე სტატიას ინტერვენტების მიერ ბავშვების მასობრივი დახოცვის შესახებ. კორეის ჩრდილოეთ ნაწილის დროებითი ოკუპაციის პერიოდში, ნათქვამია სტატიაში, ხვანხეს პროვინციის სინჯონის მაზრის კუხინის თემში ინტერვენტებმა ცოცხლად დაწვეს 70 ბავშვი, რომლებიც წინასწარ ჩაკეტეს ცარიელ საწყობში. არც ერთი ბავშვი 10 წელზე უფროსი არ ყოფილა. ანაკის მაზრაში ამერიკელმა ბავშვის მკვლელებმა ქალაქ ანაკის გარშემო თორმეტ გორაკზე ცოცხლად დამარხეს 300-ზე მეტი ბავშვი. ქალაქ ნამფხოში ჯალათებმა ამგვარადვე მოკლეს 300-ზე მეტი ბავშვი. ნამფხოს რაიონის ჩხოსონის თემში აღმოჩნდა 80 მეტრი სიგრძის საფლავი. ამ საფლავში, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ადასტურებენ, ცოცხლად დამარხეს 250 ბავშვი. კეჩხონის მაზრაში ამერიკელმა ბარბაროსებმა დახვრიტეს 400-მდე ბავშვი. ანბენის მაზრაში ინტერვენტებმა 100-ზე მეტი ბავშვი შერეკეს გამოქვაბულში ხვანრენის მთაზე, ბენზინი მოასხეს გამოქვაბულის შესასვლელში და ცეცხლმფრქვეველი აამოქმედეს. ყველა ბავშვი დაწვა.

ბავშვის მკვლელმა ჯალათებმა, წერს დასასრულ „ნოდონ სინმუნი", დამსახურებული სასჯელი უნდა მიიღონ ყველა დანაშაულისათვის, რაც მათ კორეელი ხალხის წინაალმდეგ ჩაიდინეს.

კორეელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი მიძღვნილი საღამო

ღღეს, 25 ივნისს, — საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში

ღღეს, 25 ივნისს, — საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა აწყობენ კორეელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლის ორი წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

საღამოზე კორეელი ხალხის ბრძოლის ორი წლისთავის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ტაბაღუა. მოხსენებით—„მშვიდობისათვის ბრძოლის აღსანიშნველი სპექტაკლები ქართულ თეატრში"—გამოვა მწერალი რ. ქორქია.

მოხსენებების შემდეგ მოეწყობა თბილისის თეატრებისა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა გამოსვლები.

ლექცია

25 ივნისს საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შედგება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ი. ტაბაღუას** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ღღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — მშვიდობის დაცვის ღღე.

საერთო სათაურით „მახარაძეს მეჩაიეთა მოწოდების პასუხად". წერილები: ახალი ვალდებულებანი. გაძლიერდა ჩაის ფოთლის კრეფა.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

სამი ქალაქის შეჯიბრება.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ზრუნვა მოსწავლეთა საზაფხულო დასვენებისათვის. კ. უბილავა—სასწავლო წლის წინასწარი შედეგები.

მკითხველთა წერილები. რედაქციის ფოსტიდან.

სასოფლო-სამეურნეო თემაზე — ვ. კოპინაშვილი — გულდასმით მოვუაროთ კარტოფილს. ს. დემუროვი — გავწმინდოთ მინდვრები საარეველა ბალახებისაგან.

მესამე გვერდი — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — დ. ქუმსიშვილი — ახალგაზრდა ავტორის მანკიერი წიგნი. ახალგაზრდა მწერლების თაობირი.

ვ. მიხაილოვი — კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლის 2 წელი.

უშიშროების საბჭოში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი

ბოლშევიკი № 6

მოწინავე — მტკიცედ ვიდგეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე. **ა. ი. მგელაძე** — ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი — სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს. **მაო ძედუნი** — წინაალმდეგობის შესახებ (დასასრული). **ი. გიგინეიშვილი** — საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გენიალური პროგრამა. **ი. ნატროშვილი** — ბრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამა. **კონსულტაცია** — **დ. კალანდაძე**—ძველსა და ახალს შორის ბრძოლა განვითარების კანონია. **პარტიულ თემაზე** — **ნ. გოგლიძე** — პარტიული ორგანიზაცია მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის ბრძოლაში. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** — **ვ. ასათიანი** — წიგნი სერიოზული შეცდომებით.

რედაქტორი ბ. მერკვილაძე

ბონის სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერა

ბონი, 23 ივნისი. (საკდესი). ბონში ხელი მოეწერა ბონის ხელისუფლებასა და ოსტ-ინდოეთ-კომპანიას, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ოკუპაციის ადმინისტრაციებს შორის ხელშეკრულებას, ბონის ხელისუფლებისა და ოკუპანტების ურთიერთობის ზოგიერთ საკითხთა შესახებ. ეს ხელშეკრულება, ანუ, სწორედ